კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი საკითხი მენეჯმენტის დაუფლების პროცესში

ნანა ლუხუტაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ევროპის ცენტრალური
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, nana.lukhutashvili@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული აზროვნება; გონებრივი იერიში; დემონსტრირების მეთოდი; ქეისი.
J.E.L. Classification: I1, D9, M1 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.10

ციტირებისთვის: ლუხუტაშვილი ნ., (2025) კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი საკითხი მენეჯმენტის დაუფლების პროცესში. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 105-114. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.10

ანოტაცია

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მოხსენებაში, „ახალი შეხედულება განათლებაზე", კრიტიკული აზროვნება XXI საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარად დასახელდა. კრიტიკული აზროვნება - ეს უფრო მეტია, ვიდრე აკადემიური უნარი. ეს არის ფუნდამენტური უნარ-ჩვევა, რომელიც ახდენს სტუდენტის ცხოვრების ყველა ასპექტის ტრანსფორმაციას.

სტატიაში მოყვანილია მენეჯმენტის დაუფლების პროცესში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებლად საჭირო სწავლა-სწავლების ძირითადი ხერხები და მეთოდები, პრაქტიკაში მათი იმპლემენტაციის შესაძლებლობები ქართული რეალობის და სპეციფიკის გათვალისწინებით.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში, სადაც ინფორმაცია და ტექნოლოგიები ვითარდება წარმოუდგენელი სისწრაფით, საგანმანათლებლო სისტემა ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების პირისპირ დგება. განათლება უკვე არ წარმოადგენს სტატიკურ პროცესს, ის მუდმივად ადაპტირდება დროის მოთხოვნებისა და საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად.

სამყაროში, სადაც ინფორმაცია ორმაგდება ყოველ ორ წელიწადში, ხოლო ტექნოლოგიები ცვლიან პროფესიებს იმაზე სწრაფად, ვიდრე სტუდენტები ასწრებენ უნივერსიტეტების დასრულებას, აქტუალურია კითხვა, რომელი უნარები ესაჭიროებათ ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებს მომავალში წარმატების მისაღწევად?

მსოფლიო ექსპერტები განათლების, ფსიქოლოგიისა და ბიზნესის სფეროში ერთხმად აღიარებენ კრიტიკულ აზროვნებას 21-ე საუკუნის ცხოვრების აუცილებელ პირობად.

კონკურენციამ, გლობალიზაციამ და ინფორმატიზაციამ მოიცვა არა მარტო ადამიანთა საქმიანობის ტრადიციული სფეროები, არამედ გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე - მოთხოვნის სტრუქტურის ფორმირებაზეც.

კრიტიკული აზროვნება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია საქმიანობის ყველა სფეროში, მაგრამ ზოგიერთი პროფესიისათვის, კერძოდ მენეჯერთათვის ის უბრალოდ აუცილებელია. სულ უფრო ცხადი ხდება მენეჯმენტის ცოდნის აუცილებლობა და მისი კრიტიკული გააზრება.

ძირითადი ნაწილი

მენეჯმენტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დისციპლინას არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის, არამედ მომავალი ინჟინრების, იურისტების, სახელმწიფო მოხელეებისა და სხვათათვის.

თანამედროვე მენეჯმენტი რთულია წარმოვიდგინოთ ზუსტად ფორმულირებული წესებისა და საქმიანობის რეცეპტების სახით. ძლიერ ცვალებად და რთულ გარემოში არსებობის პირობებში, თანამედროვე მენეჯერებმა უნდა შეძლონ არასტანდარტული პრობლემების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომა, თანამშრომელთა ურთიერთობების უკონფლიქტოდ მართვა, მათი მოტივირება, შრომისადმი წაქეზება და ა.შ. ყოველივე ამის მიღწევა კი შეუძლებელია კრიტიკული აზროვნების უნარების გარეშე.

თანამედროვე ტერმინი „კრიტიკული აზროვნება“ უკავშირდება ამერიკელ ფილოსოფოს ჯონ დიუის, რომელიც მოგვიწოდებდა ნებისმიერი დებულება, მტკიცება ფრთხილად გაგვეხილა ყველა არგუმენტის გათვალისწინებით. ის თვლიდა, რომ გამოცდილების სწორად გამოყენების საფუძველზე ამგვარი მიდგომა ეხმარება ადამიანს დასახული მიზნების მიღწევაში (Dewey, 1910).

ადამიანის ტვინი „დაპროგრამებულია“ შეცდომების დაშვებაზე. ჩვენს რწმენებსა და შეხედულებებს სამყაროზე ხშირად მივყავართ მცდარ დასკვნებამდე და არასწორი გადაწყვეტილებების მიღებამდე. ამ ფენომენს უწოდებენ კოგნიტურ დამახინჯებას.

პირველობის ეფექტი - მიდრეკილებაა უფრო მეტად ენდო ადრე მიღებულ ინფორმაციას. დადასტურების მიკერძოება - თუ ადამიანი რაიმეში დარწმუნებულია, ის ინფორმაციის ნაკადიდან ირჩევს მხოლოდ იმ ფაქტს, რომელიც ადასტურებს მის სიმართლეს. აღნიშნულ დამახინჯებებთან გასამკლავებლად გვეხმარება კრიტიკული აზროვნება.

კვლევების დიდი ნაწილის შედეგებით გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზროვნება ძალზედ მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, ხოლო იმავე გამოკითხულთა მიხედვით ადამიანების უმრავლესობა ვერ ფლობს ამ უნარებს.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მოხსენებაში, „ახალი შეხედულება განათლებაზე“ კრიტიკული აზროვნება XXI საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარად დასახელდა (World Economic Forum, 2015).

კრიტიკული აზროვნება, როგორც კომპეტენცია, გულისხმობს ინფორმაციის მოძიების, არგუმენტების შერჩევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებუ-

ლი დასკვნების ფორმულირების უნარებს (Koreshnikova & Avdeeva, 2022:39). არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც კრიტიკული აზროვნების ფორმირება არ ხდება თავისთავად, სხვა საგანმანათლებლო შედეგებთან ერთად (Terenzini et al., 1995:28). ეს ნიშნავს იმას, რომ სტუდენტებში ამ უნარის განსავითარებლად საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა (Halpern, 1998:450).

კრიტიკული აზროვნება მოიცავს ექვს მნიშვნელოვან ჩვევას: დაკვირვება, ანალიზი, დასკვნა (ინტერპრეტაცია), კავშირი, პრობლემის გადაწყვეტა, თვითრეგულირება (შეფასება და განსჯა) (Resume Prime, 2021) და გამორჩეულ უნარებს: დამოუკიდებლად აზროვნებას; ინფორმაციასთან, როგორც ანალიზისა და შედარებისათვის ამოსავალ საფუძველთან (წყაროსთან) მუშაობას; პრობლემურად და არგუმენტირებულად აზროვნებას დასაბუთებული მოსაზრების, მტკიცებულებებისა და დამამტკიცებელი საბუთების გამოყენებით; კრიტიკული აზროვნების გამოყენებას სოციალურ ასპექტში, ე.ი. პრობლემური გამოსვლებისას, დისკუსიებსა და პუბლიკაციებში, მოსაზრებების პროდუქტიული გაცვლისთვის (Shakirova, 2019:52)

დევიდ კლუსტერი გამოყოფს კრიტიკული აზროვნების შემდეგ ძირითად მახასიათებლებს (Klooster, 2000:8):

- კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს დამოუკიდებელ აზროვნებას. ის ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს, რამდენადაც ყველა აყალიბებს თავის იდეას, შეფასებასა და წარმოდგენებს სხვებისგან დამოუკიდებლად; კრიტიკული აზროვნება არ უნდა იყოს განსაკუთრებულად ორიგინალური.
- ინფორმაცია წარმოადგენს საწყის წერტილს და არა საბოლოო პუნქტს კრიტიკული აზროვნებისთვის.
- ცოდნა ქმნის მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია კრიტიკულად აზროვნება.
- კრიტიკული აზროვნება იწყება საკითხის დაყენებით (კითხვების დასმით) და გადასაჭრელი პრობლემების გარკვევით, მოსდევს პრობლემურ აზროვნებას და მასთან არის გადაჯაჭვული;
- კრიტიკული აზროვნება არგუმენტირებულია. კონტრარგუმენტების არსებობა აძლიერებს არგუმენტაციას.
- კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა. ნებისმიერი აზრი, მოწმდება და იხვეწება როცა მას სხვებს ვუზიარებთ.

კრიტიკული აზროვნების განვითარება მიზანმიმართულ, მრავალწახნაგოვან სამუშაოდ უნდა იქცეს ლექტორ-მასწავლებლებისთვის.

თანამედროვე სასწავლო პროცესში, ტრადიციულისაგან განსხვავებით, სადაც უკუკავშირი პროფესორ-მასწავ ლებელსა და ჯგუფს შორის და უკუკავშირი პროფესორ-მასწავლებელსა და ცალკეულ სტუდენტს შორის იყო სუსტი, სიმძიმის ცენტრმა გადანაცვლა პროფესორ-მასწავლებლიდან სტუდენტისაკენ და გაიზარდა შემსწავლელის როლი. ლექტორი გამოდის „ფასილიტატორის“ როლში, რის შედეგადაც სტუდენტი იღებს მეტ პიროვნულ

პასუხისმგებლობას სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი.

XXI საუკუნის გამოწვევებზე საპასუხოდ, მენეჯმენტის დაუფლების პროცესში ვიყენებთ სწავლა-სწავლების ისეთ ხერხებს და მეთოდებს, რომლებიც ავითარებს კრიტიკული აზროვნების შემდეგ უნარებს (Lukhutashvili, 2025):

1. ჩიკაგოელი პროფესორის დონა ოგლის მიერ 1984 წელს შემუშავებულ ინტერაქტიულ სტრატეგიას: „ვიცი – მინდა გავიგო – რა გავიგე“. ინტერაქტიული მეთოდი, ორიენტირებულია სტუდენტების ფართო ურთიერთქმედებაზე არამარტო პროფესორთან, არამედ ერთმანეთთანაც.

2. გონებრივ იერიშს. ეს სწავლების მეთოდია, რომლის დროსაც მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრულ დროში ამა თუ იმ პრობლემის ან საკითხის გარშემო შეუღზუდავად გამოთქვამენ “ადგილზე მოფიქრებულ” საკუთარ აზრებსა და იდეებს. დაცულია პრინციპი - “ყველა აზრი მისაღებია”. ამის შემდეგ ლექტორის დახმარებით ხდება გამოთქმული აზრებისა და იდეების დახარისხება, კატეგორიებად და პრიორიტეტებად დაყოფა.

ეს მეთოდი განაპირობებს პრობლემის გადაწყვეტაში ჯგუფის ერთობლივ მონაწილეობასაც და ინდივიდუალური აქტივობის ამაღლებასაც. გონებრივი იერიშის მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში.

3. „თხელი“ (მარტივი) და „სქელი“ (რთული) კითხვების დასმა. მნიშვნელოვანია კითხვების დასმის ცოდნაც. მარტივი კითხვები გულისხმობს ასეთივე ერთგვაროვანი პასუხის გაცემას. ხოლო რთული კითხვები აზროვნების უფრო მაღლ დონეს. მაგალითად, ანალიზს, სინთეზს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

„თხელი“ (მარტივი) და „სქელი“ (რთული) კითხვები

მარტივი კითხვები	რთული კითხვები
ვინ? რა? როდის? რამდენი? ეთანხმებით თუ არა? ჭეშმარიტია თუ არა?	ახსენით რატომ? რა მოხდებოდა თუ.... ? მოიყვანეთ რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ.... ? რა განსხვავებაა .....? დავუშვათ, რომ თქვენ ხართ.... ?

4. „INSERT“. გულისხმობს კითხვისას ტექსტის განსაკუთრებულ მარკირებას. ტექსტის ველებზე ან ცხრილებში მისი შემდგომი შევსებით კეთდება ტექსტის ფრაგმენტებზე, აბზაცებზე ისეთი კატეგორიების მინიჭება, როგორებიცაა: „V“-ვიცოდი ეს ინფორმაცია, „+“ - რაღაც ახალია, „-“ - სხვაგვარად ვფიქრობდი, „?“ - ვერ გავიგე, კითხვა გამიჩნდა.

5. დემონსტრირების მეთოდი – ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში მასალა შესაძლებელია ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმა.

6. ქეისი (შემთხვევის ანალიზი, სიტუაციური ამოცანა). გამოცდილებით სწავლების საუკეთესო მეთოდია (ATSU, 2017; National Center for Teacher’s Professional Development, 2016). იგი:

- საშუალებას იძლევა თეორიული ცოდნა გამოვიყენოთ პრაქტიკაში.
- იმ გადაწყვეტილების მიღებისაკენ მიმართავს სტუდენტების შინაგან ძალებს, რომელზეც აქამდე არ უფიქრიათ.
- ეხმარება მათ გამოავლინონ პრობლემა, მოახდინონ ამ პრობლემის რანჟირება და სტრატეგიული მიმართულებების წინასწარი რესურსული შეფასება, ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება, მათგან დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე საუკეთესოს შერჩევა და გადაწყვეტილების მიღება.

კრიტიკული აზროვნების პროცესი შეიძლება დავყოთ 4 ეტაპად (Ruzana, 2025):

1. კითხვის ფორმულირება;
2. მონაცემების შეგროვება;
3. ინფორმაციის ანალიზი;
4. დასკვნები.

არ არის აუცილებელი ყოველი დავალების თვის შევადგინოთ ნაბიჯების გეგმა და განუხრელად მივდიოთ მას. პროცესის ეტაპების ცოდნა დაგვეხმარება არ გა მოგვრჩეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაწყვეტილებების მიღებისას.

დასკვნა

კრიტიკული აზროვნება ინფორმაციის გაანალიზების, დასკვნების გამოტანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარია, რომელიც მოტივაციას აძლევს სტუდენტებს - თეორიული ცოდნის გასაფართოებლად პრაქტიკული და გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად. მის განვითარებასთან ერთად სტუდენტებს უვითრდებათ ისეთი უნარები, როგორებიცაა კომუნიკაბელურობა, დამოუკიდებლობა, მოქნილობა, კრეატიულობა.

მენეჯმენტის დაუფლების პროცესში კრიტიკული აზროვნების გასავითრებლად, სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით ხდება პროფესორ-მასწავლებლიდან სტუდენტისაკენ სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება და შემსწავლელის როლის ზრდა.

ლექტორი გამოდის „ფასილიტატორის“ როლში, რის შედეგადაც სტუდენტი იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი.

და ბოლოს, კრიტიკული აზროვნება ეს უფრო მეტია, ვიდრე აკადემიური უნარი. ეს არის ფუნდამენტური უნარ-ჩვევა, რომელიც გარდაქმნის სტუდენტის ცხოვრების ყველა ასპექტს. სამყაროში, სადაც ხელოვნური ინტელექტი უკვე ასრულებს რუტინულ სამუშაოებს, დავალებებს, სწო-რედ კრიტიკული აზროვნება რჩება ადამიანის უნიკალურ უპირატესობად.

ლიტერატურა:

1. ლუხუტაშვილი ნ. (2025) სწავლა-სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად მენეჯმენტის დაუფლების პროცესში. IV საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია“ (ICETI 2024) აბსტრაქტების კრებული, ევროპის უნივერსიტეტი, გამომცემლობა “UNIVERSAL”, 2025. გვ.82 (გადამოწმებულია 29.04.2025)
2. შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ქუთაისი 2017. https://cdn.atsu.edu.ge/forsite/files/qas/gzamkvlevi.pdf (გადამოწმებულია 29.04.2025)
3. Dewey, J. (1910). How We Think, Boston: D.C. Heath. URL:https://archive.org/details/howwethink000838mbp/page/n21/mode/2up (გადამოწმებულია 29.04.2025)
4. Klooster, D. (2000). What is critical thinking?. kritické listy 1-2, Autumn 2000. URL:https://kritickemysleni.cz/wp-content/uploads/2020/05/KL01_2_web.pdf (გადამოწმებულია 29.04.2025)
5. World Economic Forum. (2015). New Vision for Education Unlocking the Potential of Technology. URL:https://www3.weforum.org/docs/WEFUSA_NewVisionforEducation_Report201 5.pdf (გადამოწმებულია 29.04.2025)
6. Koreshnikova Yu. N.,Avdeeva E.A. (2022). Interest Cannot Be Forced. The Role of Academic Motivation and Teaching Styles in the Development of Students' Critical Thinking. Voprosy Obrazovaniya / Educational Studies Moscow, (3). https://doi.org/10.17323/1814-9545-2022-3-36-66
7. Terenzini P.T., Springer L., Pascarella E.T., Nora A. (1995). Influences Affecting the Development of Students' Critical Thinking Skills. Research in Higher Education, 36 (1), 23–39. https://doi.org/10.1007/BF02207765 (გა- დამოწმებულია 29.04.2025)
8. Halpern D.F. (1998). Teaching Critical Thinking for Transfer across Domains: Disposition, Skills, Structure Training, and Metacognitive Monitoring. American Psychologist, 53 (4), 449–

455. https://doi.org/10.1037//0003-066x.53.4.449
(გადამოწმებულია 29.04.2025)

9. Resume Prime (2021). How to Improve and Apply Critical Thinking Skills in the Workplace. https://www.resumeprime.com/critical- thinking-skills-resume-interview-tips/
10. Shakirova, D. M. (2019). Critical Thinking. Methodology. Technology. Innovation (Vol. 3). Kazan: ГАОУ ДПО ИРО РТ. ISBN 978-5-6042481-5-7
11. National Center for Teacher's Professional Development. (2016). Vocational Teachers' Guidebook, (First ed.) LLC SEZANI .
11. Ruzana A. (2025). Critical Thinking: What is it and how to develop it. URL:https://digital-academy.ru/blog/what- is-critical-thinking (გადამოწმებულია 29.04.2025